საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ოთარ კაჭკაჭაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ინგა ბერიძე - კოლეგიის წევრი

ანა ხურციძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: თ. ტ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 06.12.2021

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 088/21

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ქ. ბ.-ის მიმართ /სიითი N /

ადვოკატის წარმომადგენელი: ზ. ხ. /სიითი N /

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ქ. ბ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2021 წლის 06 დეკემბერს ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა თ. ტ.-მა და მოითხოვა ადვოკატ ქ. ბ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. მომჩივანმა 2022 წლის 24 თებერვალს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, ელექტრონული პლატფორმის „ზუმის“ მეშვეობით წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება. 2021 წლის თებერვლის თვეში ოჯახური ძალადობის ბრალდებით დააკავეს საჩივრის ავტორის ძმა - თ. ტ.. საჩივრის ავტორი მისი ძმის ინტერესების დაცვის მიზნით დაუკავშირდა მისი მეუღლის ნათესავს ადვოკატ ქ. ბ.-ს, რომელიც ანაზღაურების გადახდის შემდგომ, დაუყოვნებლივ ჩაერთო საქმეში. ამავე პერიოდში, თ. ტ.-ის მეუღლემ - ე. თ.-მა სასამართლოს მიმართა სამოქალაქო სარჩელით ზ. ტ.-ის, თ. ტ.-ის და ს. ლ.-ის მიმართ. აღნიშნულ საქმეშიც ადვოკატ ქ. ბ.-ს უნდა წარმოედგინა თ. ტ.-ის, საჩივრის ავტორის და ს. ლ.-ის ინტერესები. საჩივრის ავტორს ადვოკატმა ქ. ბ.-მა უთხრა, რომ აღნიშნულ სამოქალაქო საქმეში ყველაფერს „დაალაგებდა“. საქმის წარმოების მიზნით ადვოკატთან გაფორმდა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, ჰონორარის სახით განისაზღვრა 5000 აშშ დოლარი, დავის წარმატებით დასრულების შემთხვევაში უნდა გადახდილიყო დამატებით 5000 აშშ დოლარი. მომჩივანმა შეთანხმების შესაბამისად, ავანსის სახით, ადვოკატს გადასცა 1000 აშშ დოლარი,

შემდეგი გადახდა გრაფიკის მიხედვით უნდა ყოფილიყო 2021 წლის 20 სექტემბერისთვის - 1500 აშშ დოლარი. ამავე წლის აგვისტოს თვეში თ. ტ.-ს დაუკავშირდა ქ. ბ. და მოითხოვა დამატებით 1000 აშშ დოლარის გადახდა ს. ლ.-ის ადვოკატ რ. გ.-ის იურიდიული მომსახურების ჰონორარისთვის. საჩივრის ავტორის განცხადებით, მან ადვოკატ ქ. ბ.-ს ს. ლ.-ისგან მიღებული თანხა - 1000 აშშ დოლარი გადასცა რ. გ.-ისთვის ჰონორარის გადახდის მიზნით. მომჩივანის განმარტებით, თავდაპირველად ადვოკატ ქ. ბ.-ს უნდა დაეცვა ს. ლ.-ს ინტერესები და მისთვის მინდობილობის გაცემის დღეს გახდა ცნობილი, რომ რ. გ. იქნებოდა მისი ადვოკატი, რამაც შეეზღუდა მის მიერ არჩეული ადვოკატის დაცვის უფლება.

1.2 მომჩივანის განცხადებით, ადვოკატმა ქ. ბ.-მა ე. თ.-ს განუცხადა, რომ „არავითარ შემთხვევაში არ აპატიებდა მის ადგილზე მეუღლეს“, რაც საქმეზე მორიგების გაფორმების შესაძლებლობასაც ართმევდა მოპასუხე მხარეს.

1.3 მომჩივანის განცხადებით, პირველი ინსტანციის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებით მის ძმას - თ. ტ.-ს სასჯელის სახით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა - წელიწადნახევრის ვადით, რაც აპელაციის წესით გასაჩივრდა. აღნიშნულ ეტაპზე ადვოკატი ქ. ბ. დაუკავშირდა თ. ტ.-ს და განუცხადა, რომ მას დამატებით ჰონორარის სახით უნდა გადაეხადა 1000 ლარი, რადგან ორდერს ვადა გაუვიდა, რაზეც მომჩივანმა უარი განუცხადა.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, მას სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან დაუკავშირდა თ. ტ. და განუცხადა, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სასჯელი უცვლელი სახით დარჩა. მომჩივანის განცხადებით, აღმოჩნდა, რომ ადვოკატმა ჰონორარის დამატებით გადახდა მაშინ მოსთხოვა, როდესაც უკვე სასამართლოს მიერ ზეპირი მოსმენის გარეშე გადაწყვეტილება მიღებული იყო.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი ქ. ბ. არ აწვდიდა მას ინფორმაცია იმის თაობაზე თუ რა სტრატეგიით მოქმედებდა საქმესთან დაკავშირებით. ადვოკატს უფრო ხშირი კომუნიკაცია ს. ლ.-სთან უფრო ჰქონდა, ვიდრე მასთან. საპროცესო კოლეგიის სხდომაზე მომჩივანმა განმარტა, რომ ადვოკატთან „კომუნიკაციის პრობლემა არ ჰქონია“, შეკითხვების შემთხვევაში ის უკავშირდებოდა ადვოკატს და მის ოფისში ხვდებოდა, მათ შორის ეკითხებოდა თუ რა ეტაპზე იყო მისი საქმისწარმოება, თუმცა კონკრეტული პასუხი აღნიშნულზე ადვოკატს არ ჰქონდა, რაც ბუნებრივი იყო, რადგან ჯერ მტკიცებულებათა მოპოვების ეტაპზე იყვნენ და ვერც გარანტიას მისცემდა საქმის შედეგზე. მომჩივანსა და ადვოკატს საადვოკატო ოფისში დაახლოებით 10 შეხვედრა ჰქონდათ საქმესთან დაკავშირებით.

1.6 მომჩივანის განმარტებით, ს. ლ.-მ სასამართლოს საქმისწარმოების ელექტრონული გვერდის გადამოწმებისას აღმოაჩინა, რომ საქმეს თან არ ერთვოდა მნიშვნელოვანი დოკუმენტი და აღნიშნული აცნობა მას - კერძოდ, მომჩივანსა და ს. ლ.-ს შორის მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულება. შესაბამისად, მომჩივანმა დოკუმენტის მოძიებისთვის და საკითხის დაზუსტებისთვის მიმართა ადვოკატ ქ. ბ.-ს, რომელმაც ასევე ვერ მოიძია აღნიშნული დოკუმენტი. მომჩივანის განმარტებით, ადვოკატმა ქ. ბ.-მა არ იცოდა დოკუმენტების სასამართლოში წარუდგენლობის მიზეზი და დაურეკა ხმამაღალ რეჟიმზე ჩართული ტელეფონით ადვოკატ რ. გ.-ს, რომელმაც ადვოკატს უთხრა, რომ „მიეყარა თ. ტ.-ისთვის საბუთები და გაეშვა“. მომჩივანის განცხადებით, მოგვიანებით, საქმეში ჩართულმა სხვა ადვოკატებმა დაურთეს საქმეს, რადგან მისი მოპოვება საჯარო რეესტრიდან გამოთხოვის მიზნით იყო შესაძლებელი.

1.7 საჩივრის ავტორმა ადვოკატ ქ. ბ.-ს გამოართვა „დოკუმენტების სამივე პირი“ და სთხოვა რომ გადაცემული 2000 აშშ დოლარიდან დაეტოვებინა გამომუშავებული თანხა, დანარჩენი დაებრუნებინა, რომ შეძლებოდათ ახალი ადვოკატისთვის მიმართვა. მომჩივანის განმარტებით, საქმესთან დაკავშირებით

ჰონორარის თანხები უშუალოდ ს. ლ.-ის მიერ იქნა გადარიცხული, შესაბამისად, ს. ლ.-ს ადვოკატმა უნდა დაუბრუნოს მისი საქმისწარმოების ნაწილში მიღებული ჰონორარი. მომჩივანის განცხადებით, საქმის წარმოებაში ჩაერთო სხვა ადვოკატი, რომელზეც ადვოკატი ქ. ბ. ამბობდა, რომ იყო „რეგვენი და ვერ მოიგებდა საქმეს და იყო 50 ლარიანი ადვოკატი". მომჩივანმა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ მან ადვოკატს უთხრა, რომ" ხელშეკრულებას ადვოკატები 50 ლარის" ჰონორარის ფარგლებში ადგენდნენ, რაზეც უპასუხა, რომ ის არ იყო „50 ლარიანი ადვოკატი", რაც მომჩივანის განცხადებით, არაკოლეგიალური შეფასებაა მისი, როგორც ადვოკატის მხრიდან.

1.8 მომჩივანს ადვოკატ ქ. ბ.-ისადმი ნდობა დაეკარგა და განუცხადა, რომ ის არ ასრულებდა საადვოკატო მომსახურებას ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, შესაბამისად, აღარ სურდა მისი საქმე ეწარმოებინა და მოსთხოვა საქმის მასალების დაბრუნება.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2021 წლის 31 დეკემბერს ადვოკატმა ქ. ბ.-მა წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება. 2022 წლის 03 მარტს ადვოკატის წარმომადგენელმა ადვოკატმა ზ. ხ.-მა ელექტრონული პლატფორმის „ზუმის" გამოყენებით წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება. ადვოკატის განცხადებით, 2021 წლის თებერვალში საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით მიმართა თ. ტ.-მა მისი ძმის - თ. ტ.-ის ინტერესების დაცვის მიზნით. 2021 წლის 15 თებერვალს თ. ტ.-თან ადვოკატმა გააფორმა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, რაც ეხებოდა თ. ტ.-ის ინტერესების დაცვას სისხლის სამართლის საქმეზე. ადვოკატმა თ. ტ.-ს განუმარტა, რომ მის კომპეტენციაში არ შედიოდა ოჯახური კონფლიქტების განხილვა და მოწესრიგება და შესაბამისად, ადვოკატის პოზიციით, მას თ. ტ.-ის მეუღლესთან მსგავს საკითხებზე კომუნიკაცია არ ჰქონია და ის ფაქტი, რომ თითქოს ის მას აქეზებდა, ადვილი ვერ ქნებოდა.

2.2 ადვოკატის განცხადებით, მან სამოქალაქო საქმის წარმოების მიზნით თ. ტ.-თან ასევე გააფორმა მომსახურების ხელშეკრულება. ადვოკატის განმარტებით, მომჩივანისთვის ცნობილი იყო, რომ ს. ლ.-ის ინტერესები უნდა დაეცვა ადვოკატ რ. გ.-ს და არ შეესაბამება სინამდვილეს ის გარემოება, რომ თითქო აღნიშნულზე ს. ლ.-მ მინდობილობის გაცემის დროს შეიტყო და თუ მას არ სურდა რ. გ. ყოფილიყო მისი ადვოკატი, მინდობილობა არ უნდა გაეფორმებინა. ადვოკატის განმარტებით, პრეტენზია იმის თაობაზე, რომ სასამართლოში არ იყო მნიშვნელოვანი დოკუმენტები წარდგენილი - აღნიშნული ეხებოდა რ. გ.-ის მიერ ს. ლ.-ის საქმეზე მასალების დართვას, რის შესახებაც ქ. ბ.-ს არ ჰქონდა ინფორმაცია, რადგან ის არ აწარმოებდა ს. ლ.-ის საქმეს.

2.3 ადვოკატის განცხადებით, საქმის მიმდინარეობის შესახებ თ. ტ.-ის მუდმივად ჰქონდა მასთან კონტაქტი და იღებდა ამომწურავ ინფორმაციას.

2.4 ადვოკატის განცხადებით, თ. და თ. ტ.-ისგან მისთვის ცნობილი იყო, რომ ე. თ.-მა მორიგების პირობებზე უარი განაცხადა და აღნიშნულის გამო სასამართლოში მათ შორის მიმდინარეობს დავა.

2.5 სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოების შესახებ გამოთქმული პრეტენზიასთან დაკავშირებით, ადვოკატი განმარტავს, რომ ვინაიდან, თ. ტ.-ის მიერ ჩადენილი დანაშაული მიეკუთვნებოდა ნაკლებად მძიმე დანაშაულის კატეგორიას, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი იყო საქმე განეხილა ზეპირი მოსმენის გარეშეც.

2.6 ადვოკატის განცხადებით, ვადაგასული ორდერის შესახებ ის მოსამართლის თანაშემწისგან იყო ინფორმირებული, რის შესახებაც თ. ტ.-საც აცნობა.

2.7 წარმომადგენლის ადვოკატ ზ. ხ.-ის განცხადებით, მოცემულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ადვოკატის მიმართ კომისიისადმი საჩივრით არ მოუმართავს უშუალოდ ადვოკატ ქ. ბ.-ის კლიენტს, მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირს - თ. ტ.-ს. წარმომადგენლის განმარტებით, ქ. ბ.-ს სასამართლოდან აცნობეს, რომ მის ორდერს ვადა გაუვიდა, შესაბამისად, წარმომადგენლობის გაგრძელებისთვის, ორდერის ვადა უნდა გაგრძელებულიყო, რის თაობაზეც აცნობა მომჩივანს ადვოკატმა და შესაბამისად, მოითხოვა დამატებით ჰონორარის გადახდა. ადვოკატმა აღნიშნული მოქმედებით კლიენტს ინფორმაცია მიაწოდა, რაც ეთიკური ვალდებულების დარღვევა თავისთავად არ არის. წარმომადგენლის განცხადებით, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატ ქ. ბ.-ის საადვოკატო მომსახურებით უკმაყოფილო იყო მომჩივანი, დამატებით მეორე საქმის წარმოებაზე რა მიზეზით შეუთანხმდებოდა ადვოკატს.

2.8 ადვოკატის წარმომადგენლის განცხადებით, მომჩივანსა და ადვოკატს შორის გაფორმებული საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით გაწერილია ჰონორარის გადახდის ეტაპები. შესაბამისად, როდესაც ადვოკატმა ქ. ბ.-მა მომჩივანს აცნობა, რომ მას ჰონორარის ნაწილში ვალდებულება ჰქონდა შესასრულებელი - მან ახალ ადვოკატს მიმართა და ადვოკატმა ქ. ბ.-მა სასამართლოში წარმომადგენლობის გაგრძელება ვეღარ შეძლო.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობის შემოწმება:

3.1 ადვოკატი ქ. ბ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი № / სპეციალიზაცია - საერთო;

3.2 თ. ტ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2021 წლის 06 დეკემბერს.

3.3 სადავო მოქმედება განხორციელდა 2021 წელს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ ქ. ბ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა (მუხლი 32) და დებულებით (მუხლი 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატმა სამოქალაქო საქმეზე არ წარუდგინა სასამართლოს მნიშვნელოვანი დოკუმენტი; ადვოკატმა მას თ. ტ.-ის სისხლის სამართლის საქმისწარმოების გაგრძელების მიზნით (გაცემული ორდერის ვადის განახლებისთვის) ჰონორარის სახით დამატებით 1000 ლარის გადახდა მოითხოვა, იმ ეტაპზე, როდესაც უკვე საქმეზე სააპელაციო სასამართლოს ზეპირი მოსმენის გარეშე საქმეზე ნამსჯელი ჰქონდა და გადაწყვეტილება მიღებული იყო; ადვოკატი მომჩივანს არ აწვდიდა ინფორმაციას საქმის სტრატეგიის შესახებ; ადვოკატი მომჩივანის მოდავე მხარეს „აქეზებდა, რომ მის ადგილზე არ აპატიებდა მომჩივანის ძმას“, რაც გარიგებით მხარეთა შორის დავის დასრულებას აფერხებდა;

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

დაკავშირებული ინფორმაცია და კავშირი ჰქონდეს მასთან საქმის წარმოების პროცესში, როდესაც ადვოკატმა ... კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5).

ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობის ... შესახებ. (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6 მუხლი).

5.3 ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებისა და მინიჭებული რწმუნების საფუძველზე იმოქმედოს კლიენტის ინტერესების დასაცავად და უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოქმედებების კეთილსინდისიერად შესრულება. ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დასაცავად უნდა გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალება, რათა სათანადოდ იყოს კლიენტი წარმოდგენილი და ადვოკატისთვის მინდობილი საქმის თაობაზე მიიღოს კვალიფიციური და სრული მომსახურება.

5.4 ,,ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება უკავშირდება გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადანაწილებას, კლიენტი ჩართულია საქმის მიმდინარეობის თაობაზე და აქვს შესაძლებლობა, გონივრულად მართოს საკუთარი ქმედებები. ადვოკატი ვალდებულია განუმარტოს კლიენტს საკითხები ზედმიწევნით, რაც კლიენტს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები.“ 2012 წლის 22 მარტის გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე 092/11.

5.5 საჩივარში თ. ტ. უთითებს, რომ მის საქმესთან დაკავშირებით ადვოკატმა არ წარუდგინა სასამართლოს დოკუმენტი - ნასყიდობის ხელშეკრულება (იხ. პუნქტი: 1.6), თუმცა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე მომჩივანის მიერ წარმოდგენილი პოზიციიდან ირკვევა, რომ აღნიშნული დოკუმენტის საქმეზე დართვის ინტერესი თ. ტ.-ის თანამოსარჩელეს - ს. ლ.-ს ჰქონდა, რომლის წარმომადგენლობას ახორციელებდა არა ქ. ბ., არამედ, ადვოკატი რ. გ., რასაც ადასტურებს ორივე მხარე. შესაბამისად, ზემოაღნიშნული დოკუმენტის დართვის თაობაზე პრეტენზია არ გამომდინარეობს მომჩივანისათვის ადვოკატ ქ. ბ.-ის მიერ გასაწევი საადვოკატო მომსახურების ფარგლებიდან.

5.6 თ. ტ. ადვოკატ ქ. ბ.-ს შეუთანხმდა მისი ძმის - თ. ტ.-ის სისხლის სამართლის საქმისწარმოების თაობაზე. შესაბამისად, საადვოკატო მომსახურების თაობაზე შეთანხმება გაფორმდა თ. ტ.-თან, როგორც კლიენტთან ურთიერთობაში მყოფ უფლებამოსილ პირთან. მომჩივანის პრეტენზიით, ადვოკატმა ქ. ბ.-მა მისი ძმის - თ. ტ.-ის ინტერესების დაცვისთვის სისხლის სამართლის საქმეზე გაცემული ორდერის ვადის გაგრძელება იმ ეტაპზე სთხოვა, როდესაც უკვე სააპელაციო სასამართლოს ზეპირი განხილვის გარეშე მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილება, რითიც უცვლელი დარჩა პირველი ინსტანციის მიერ განსაზღვრული სასჯელის ზომა თ. ტ.-ის მიმართ. მოცემულ შემთხვევაში, კონკრეტულად არ იკვეთება მომჩივანის პრეტენზიის არსი ადვოკატის მიერ ორდერის ვადის გაგრძელების თაობაზე მისი ინფორმირების ნაწილში. არ დასტურდება ის გარემოება, რომ ადვოკატმა მომჩივანის ძმა დაცვის უფლების გარეშე დატოვა იმ ეტაპზე, როდესაც სააპელაციო სასამართლოში მიმდინარეობდა საქმისწარმოება. ამასთან, საქმეში არ არის წარმოდგენილი უშუალოდ ადვოკატის კლიენტის - მომჩივანის ძმის - თ. ტ.-ის პოზიცია. შედეგად, მოცემულ შემთხვევაში, კოლეგია მოკლებულია შესაძლებლობას წარმოდგენილი პრეტენზიის ფარგლებში იმსჯელოს ადვოკატის მიერ ეთიკურ ვალდებულებათა შესაძლო დარღვევის თაობაზე.

5.7 საჩივარი ეხება ადვოკატ ქ. ბ.-ის მიერ სამოქალაქო საქმისწარმოების დროს მომჩივანისთვის საქმის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიუწოდებლობას. საჩივარში მითითებულია რომ ადვოკატი საქმის წარმართვის სტრატეგიას მომჩივანს არ უთანხმებდა, თუმცა კონკრეტულად რის თაობაზე არ აწვდიდა ადვოკატი მომჩივანს ინფორმაციას - არ არის მითითებული. ამასთან, მომჩივანმა საპროცესო კოლეგიის

სხდომაზე საჩივარში მითითებული პოზიციისგან განსხვავებით, განმარტა, რომ მას არ ჰქონდა ადვოკატთან კომუნიკაცია შეზღუდული და შეკითხვების შემთხვევაში, ადვოკატს მის ოფისში ხვდებოდა (იხ. პუნქტი: 1.5). შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, არ დასტურდება ადვოკატის მიერ კლიენტის ინფორმირების ვალდებულების დარღვევა.

5.8 მომჩივანი უთითებს, რომ ადვოკატი „აქეზებდა" მის მოდავე მხარეს - ე. თ.-ს, რომ მორიგებით არ დაესრულებინა მათთან დავა. აღნიშნულს არ ადასტურებს ადვოკატი ქ. ბ. და განმარტავს, რომ მას ამგვარი კომუნიკაცია მისი კლიენტის მოდავე მხარესთან არ ჰქონია. მოცემულ შემთხვევაში, გარდა მომჩივანის განმარტებისა, საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რაც სარწმუნოს გახდიდა იმ გარემოებას, რომ ადვოკატი თ. ტ.-ის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებდა.

5.9 ამასთან, საჩივრის ავტორის პრეტენზია იმის თაობაზე, რომ როდესაც სხვა ადვოკატს უნდა ეწარმოებინა მისი საქმე, ადვოკატმა ქ. ბ.-მა არაკოლეგიალურად შეაფასა სხვა ადვოკატები (იხ.პუნქტი: 1.7), აღნიშნულს არ ადასტურებს ადვოკატი ქ. ბ.. აღნიშნულ ნაწილში, კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატმა არამხოლოდ უშუალოდ კოლეგებთან ურთიერთობისას, არამედ კლიენტთან კომუნიკაციისას მისი დამოკიდებულება საკუთარი პროფესიისადმი იყოს პატივისცემის გამომხატველი, თუმცა მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნული გარემოება არ დასტურდება.

5.10 მომჩივანი აგრეთვე უთითებს ადვოკატისთვის გადახდილი ჰონორარის ნაწილის დაბრუნების თაობაზე. საჩივრის ავტორის პოზიციიდან ირკვევა, რომ აღნიშნული ეხება ს. ლ.-ის საქმისწარმოების ფარგლებში მიღებული ჰონორარის დაბრუნების საკითხს, რასაც კოლეგია როგორც მომჩივანის მოთხოვნის ნაწილში ვერ შეაფასებს. რაც შეეხება, თ. ტ.-ის საადვოკატო მომსახურების ფარგლებში მიღებულ ჰონორარის - რომლის გადახდის ეტაპები გაფორმებული იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად შეთანხმდა (ხელშეკრულება 04.07.2021), არ დასტურდება, რომ მოცემულ შემთხვევაში, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით არ იქნა დაცული გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ვალდებულება.

5.11 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32-ე, 33-ე მუხლებით; დებულების 30.2, 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №088/21 ადვოკატ ქ. ბ.-ის /სიითი N/ მიმართ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ოთარ კაჭკაჭაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ინგა ბერიძე/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/